

## გარემოსდაცვითი მაჩვენებლები (G-1, G-2, G-3, G-4)

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
<b>1</b>	<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3	საკონტაქტო პირი	გიორგი სანაძე
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	<a href="mailto:gsanadze@geostat.ge">gsanadze@geostat.ge</a>
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (500)
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
<b>2</b>	<b>მეტამონაცემების განახლება</b>	
2.1	მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2021 წ. 13 აპრილი
2.2	მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2021 წ. 14 აპრილი
2.3	მეტამონაცემების ბოლო განახლება	2021 წ. 08 აპრილი
<b>3</b>	<b>სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა</b>	
3.1	მონაცემების აღწერა	<p>მონაცემები ქვეყნდება ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოსდაცვითი მაჩვენებლების (G-1, G-2, G-3, G-4) ფორმატის შესაბამისად.</p> <p><b>G-1 (ენერჯის საბოლოო მოხმარება)</b> გამოითვლება, როგორც სხვადასხვა ეკონომიკური სექტორისა და შინამეურნეობების მიერ ენერჯის საბოლოო მოხმარების ჯამი.</p> <p>მაჩვენებელი მოიცავს შემდეგ სექტორებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მრეწველობა;</li> <li>• ტრანსპორტი;</li> <li>• შინამეურნეობები;</li> <li>• კერძო და სახელმწიფო მომსახურება;</li> <li>• სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა;</li> <li>• სხვადასხვა სექტორებში არაენერგეტიკული მიზნებისთვის ენერჯის მოხმარება და ა.შ.</li> </ul> <p><b>მრეწველობაში</b> ენერჯის საბოლოო მოხმარება მოიცავს, მოხმარებას ყველა სამრეწველო სექტორში, გარდა ენერგეტიკის სექტორისა.</p> <p><b>ტრანსპორტში</b> ენერჯის საბოლოო მოხმარება მოიცავს ყველა სახის ტრანსპორტის მოხმარებას (სარკინიგზო, საავტომობილო, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ქალაქებში, მილსადენები, საჰაერო ტრანსპორტი და შიდა საზღვაო</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>ნავიგაცია).</p> <p><b>შინამეურნეობებში</b> საბოლოო ენერჯის მოხმარება მოიცავს იმ ენერგორესურსების მოცულობას, რომელსაც იყენებს შინამეურნეობა, კერძო ტრანსპორტისთვის გამოყენებული საწვავის გარდა. შინამეურნეობის მოხმარება მოიცავს ყველა ტიპის ენერჯის და საწვავს, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.</p> <p><b>კერძო და სახელმწიფო მომსახურებაში</b> საბოლოო ენერჯის მოხმარება მოიცავს, ენერგორესურსების მოხმარებას სახელმწიფო ადმინისტრაციისა და კერძო სექტორის მიერ.</p> <p><b>სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერაში</b> ენერჯის საბოლოო მოხმარება მოიცავს ენერჯის, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საქმიანობისათვის. აგრეთვე მოიცავს თევზჭერის ინდუსტრიაში გამოყენებულ ენერჯის, გარდა საერთაშორისო წყლებში თევზაობისა.</p> <p><b>არაენერგეტიკული მიზნებისთვის</b> მოხმარება მოიცავს იმ ენერგორესურსს, რომელიც ნედლეულის სახით გამოიყენება სხვა სექტორებში და არ იხარჯება როგორც საწვავი, ან არ გამოიყენება სხვა ტიპის საწვავად გარდაქმნაში.</p> <p><b>G-2 (პირველადი ენერჯის ჯამური მიწოდება)</b> ამ მაჩვენებელში მოცემულია ქვეყანაში ყოველწლიურად მიწოდებული პირველადი ენერჯის რაოდენობა და პროცენტული წილი ჩაშლილად (ქვანახშირი, ნედლი ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი გაზი, ჰიდროენერჯია, გეოთერმული, ელექტროენერჯია, ბიოსაწვავი და ნარჩენები, თბოენერჯია, მზის და სხვა ენერჯია).</p> <p><b>G-3 (ენერჯოინტენსიურობა)</b> მაჩვენებელი წარმოადგენს ფარდობას ენერჯის საბოლოო მოხმარებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის. აგრეთვე ფარდობას პირველადი ენერჯის ჯამურ მიწოდებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის.</p> <p><b>G-4 (განახლებადი ენერჯის მიწოდება)</b> მაჩვენებელი გვიჩვენებს განახლებადი ენერჯის მიწოდების მთლიან რაოდენობას ჯამურად და ჩაშლილად, ენერჯის წყაროების მიხედვით, ასევე თითოეული წყაროს პროცენტულ წილს.</p>
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	<p>ენერჯეტიკის სტატისტიკის პროდუქტების ნომენკლატურა მოცემულია ენერჯეტიკის სტატისტიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს (Energy Statistics Manual, IEA/OECD/EUROSTAT, 2005) და საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად (IRES, UNSD, 2011).</p> <p><a href="https://unstats.un.org/unsd/energystats/methodology/documents/IRES-web.pdf">https://unstats.un.org/unsd/energystats/methodology/documents/IRES-web.pdf</a></p>
3.3	სექტორის მოცვა	<p>ენერჯეტიკის სტატისტიკის კვლევის ობიექტია ენერგორესურსების მწარმოებლები, გამანაწილებლები, იმპორტიორი და ექსპორტიორი ორგანიზაციები და ენერჯის საბოლოო მოხმარებელთა ჯგუფები.</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
3.4	სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	<p><b>ენერჯის წარმოება</b> – ენერჯის წარმოება ბუნებაში არსებული ენერჯორესურსებიდან (ქვანახშირი, ტორფი, ბუნებრივი გაზი, ნედლი ნავთობი, ჰიდრო, ქარი, მზე და სხვა). ენერჯია შეიძლება იყოს განახლებადი და არაგანახლებადი.</p> <p><b>განახლებადი ენერჯია</b> – განახლებად ენერჯიას მიეკუთვნება ჰიდროენერჯია, ქარის, მზის და გეოთერმული ენერჯია.</p> <p><b>იმპორტი</b> – ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული პირველადი და გარდაქმნილი ენერჯია. ბუნებრივი გაზის ტრანზიტული მოცულობა იმპორტში არ აისახება.</p> <p><b>ექსპორტი</b> – როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა ქვეყნის გარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი.</p> <p><b>საერთაშორისო საზღვაო და საავიაციო ბუნკერები</b> – წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო და საჰაერო გადაზიდვებისთვის საწვავის საცავებს, განურჩევლად იმისა, არიან თუ არა ისინი სახელმწიფო საკუთრებაში.</p> <p><b>საბოლოო მოხმარება</b> – ენერჯის მოხმარება მოხმარებელთა ჯგუფების მიხედვით. აგრეთვე მოიცავს არაენერჯეტიკული მიზნებისთვის მოხმარებულ ენერჯიას.</p>
3.5	სტატისტიკური ერთეული	საწარმო, შინამეურნეობა, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციები და სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულები.
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	მეწარმე/ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წარმოადგენენ ენერჯორესურსების მწარმოებლებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს და ენერჯის საბოლოო მოხმარებელთა ჯგუფებს.
3.7	საანგარიშო არეალი	საქართველოს მთელი ტერიტორია, გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.
3.8	დროის მოცვა	2013 წლიდან.
3.9	საბაზო პერიოდი	-
4	<b>ზომის ერთეული</b>	საერთაშორისო ერთეული – ტნე (ტონა ნავთობის ექვივალენტი), %.
5	<b>საანგარიშო პერიოდი</b>	წელი.
6	<b>ინსტიტუციური მანდატი</b>	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	<p>საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ";  <a href="https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf">https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</a>  სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;  <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa</a>  საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.  <a href="https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf">https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</a></p>
6.2	მონაცემთა გაზიარება	-
7	<b>კონფიდენციალურობა</b>	
7.1	კონფიდენციალურობა – პოლიტიკა	<p>1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება.</li> <li>• კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად,</li> </ul>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება.</li> </ul> <p><a href="https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf">https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</a></p> <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ <a href="https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf">https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</a></p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ <a href="https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf">https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</a></p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. <a href="https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437">https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</a></p>
7.2	კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.</li> <li>• საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.</li> </ul>
<b>8</b>	<b>გამოქვეყნების პოლიტიკა</b>	
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	<a href="https://www.geostat.ge/ka/calendar">https://www.geostat.ge/ka/calendar</a>
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
<b>9</b>	<b>გავრცელების სიხშირე</b>	წლიური.
<b>10</b>	<b>ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა</b>	
10.1	პრეს-რელიზები	-
10.2	პუბლიკაციები	-
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	<p>მონაცემები განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე როგორც ცხრილების სახით: <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorebi">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorebi</a> ასევე, PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში: <a href="http://pc-">http://pc-</a></p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<a href="http://axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/07.G_1.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542">axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/07.G_1.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542</a> <a href="http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/08.G_2.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542">http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/08.G_2.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542</a> <a href="http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/09.G_3.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542">http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/09.G_3.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542</a> <a href="http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/10.G_4.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542">http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Environment%20Statistics_Environmental%20Indicators/10.G_4.px/?r_xid=b8ed95bd-fec2-4074-b76c-cc2701c5b542</a>
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	-
10.5	სხვა	-
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	<a href="https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-1-en-final.pdf">https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-1-en-final.pdf</a> <a href="https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-2-en-final.pdf">https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-2-en-final.pdf</a> <a href="https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-3-en-final.pdf">https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-3-en-final.pdf</a> <a href="https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-4-en-final.pdf">https://unece.org/DAM/env/europe/monitoring/Indicators/G-4-en-final.pdf</a>
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
<b>11</b>	<b>ხარისხის მართვა</b>	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
11.2	ხარისხის შეფასება	საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებულ სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
<b>12</b>	<b>შესაბამისობა</b>	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: სამინისტროები და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციები, ექსპერტები, მედია საშუალებები, ენერჯის გარემოსდაცვითი-ეკონომიკური აღრიცხვის სისტემის (SEEA) შემდგენელი, ენერგეტიკული პოლიტიკის მწარმოებლები და სხვა. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად. ენერგეტიკის პოლიტიკის გამტარებლები ენერგეტიკის სტატისტიკას

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		იყენებენ სტრატეგიების დასაგეგმად, ეკოლოგიური პოლიტიკის შესამუშავებლად და პოლიტიკის მონიტორინგის მიზნით. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები – ახალი ინვესტიციების შესაძლებლობის შეფასებისა და ანალიზისათვის.
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkhmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli">https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkhmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli</a>
12.3	სისრულე	მონაცემები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.
<b>13</b>	<b>სიზუსტე და სანდოობა</b>	
13.1	ზოგადი სიზუსტე	მონაცემების სიზუსტე უზრუნველყოფილია გამოკვლევის და გაანგარიშების მეთოდების შესაბამისობით საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან.
13.2	შერჩევითი ცდომილება	-
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	-
<b>14</b>	<b>დროულობა და პუნქტუალურობა</b>	
14.1	დროულობა	მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, იანვრის მეორე ნახევარში.
14.2	პუნქტუალურობა	მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღების შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
<b>15</b>	<b>თანამიმდევრულობა და შესადარისობა</b>	
15.1	შესადარისობა – გეოგრაფიული	საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შესაბამისაა საერთაშორისო მეთოდოლოგიას.
15.2	შესადარისობა – დროში	შესადარისია.
15.3	თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	თანამიმდევრულია.
	თანამიმდევრულობა – შიდა	თანამიმდევრულია.
<b>16</b>	<b>დანახარჯები და დატვირთვა</b>	მონაცემების დამუშავება ხდება შიდა რესურსებზე დაყრდნობით, შესაბამისად მასზე არანაირი დამატებითი ხარჯი არ გაიწევა.
<b>17</b>	<b>მონაცემთა გადასინჯვა</b>	
17.1	მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა	სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf">https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf</a>
17.2	მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა	მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.
<b>18</b>	<b>სტატისტიკური დამუშავება</b>	
18.1	პირველადი მონაცემები	საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის – ენერგორესურსების წარმოების, მიწოდების და მოხმარების შესახებ გამოკვლევა და შესაბამისი ადმინისტრაციული წყაროები.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
18.2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	წლიური.
18.3	მონაცემთა შეგროვება	საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ენერგორესურსების წარმოების, მიწოდებისა და მოხმარების შესახებ გამოკვლევების შედეგები (ონლაინ კითხვარი). ასევე, ადმინისტრაციული წყაროდან მიღებული ინფორმაცია.
18.4	მონაცემთა კონტროლი	-
18.5	მონაცემთა გაანგარიშება	<p><b>გაანგარიშების ფორმულა თითოეული ენერგეტიკული პროდუქტისთვის:</b></p> <p><b>პირველადი ენერჯის ჯამური მიწოდება</b> = (ენერჯის წარმოება + ენერჯის იმპორტი – ენერჯის ექსპორტი – საერთაშორისო საზღვაო და საავიაციო ბუნკერები + მარაგების ცვლილება);</p> <p><b>ენერჯინტენსიურობა ენერჯის საბოლოო მოხმარების ჭრილში</b> = საბოლოო ენერჯის მოხმარება / მშპ (მუპ-ის მიხედვით) მუდმივ ფასებში;</p> <p><b>ენერჯინტენსიურობა პირველადი ენერჯის მიწოდების ჭრილში</b> = პირველადი ენერჯის მთლიანი მიწოდება / მშპ (მუპ-ის მიხედვით) მუდმივ ფასებში.</p> <p>თითოეულ სექტორში მოხმარებული ენერჯის ფარდობითი წილი შეიძლება შეფასდეს ამ კონკრეტული სექტორიდან ენერჯის მოხმარების თანაფარდობით საბოლოო ენერჯის ჯამურ მოხმარებასთან და გამოითვლება კალენდარული წლისთვის.</p>
18.6	მოსწორება	არ გამოიყენება.
19	კომენტარი	-